ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისია

ოქმი:**ო47. 4724094001**

თარიღი:**03/04/2024**

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N3

დ. ჩოხატაური

26 მარტი 2024 წელი.

თავმჯდომარეობდა: მარინე ბერაძე

ესწრებოდნენ: დავით ტყეშელიაძე, ზაალ მამალაძე, ჯუმბერ ბერძენიშვილი, ნოდარ ცხომელიძე, მარინე თავაძე, ბაჩო ახალაძე.

არ ესწრებოდა: მაია გიორგაძე, დავით გუდავაძე, ლაშა ირემაძე, ბაია ძნელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრეთ წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზომლეთის ადმინისტრაციული ერთეულისთვის სახელწოდების გადარქმევის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურასთვის ძველი სახელწოდების აღდგენის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

3.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: მარინე ბერაძემ, ნოდარ ცხომელიძემ, ლაშა ირემაძემ ისინი დაეთანხმნენ დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 7

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 7 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზომლეთის ადმინისტრაციული ერთეულისთვის სახელწოდების გადარქმევის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურასთვის ძველი სახელწოდების აღდგენის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

3.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

I საკითხი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზომლეთის ადმინისტრაციული ერთეულისთვის სახელწოდების გადარქმევის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზომლეთის ადმინისტრაციული ერთეულისთვის სახელწოდების გადარქმევის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა და კომისიის წევრებს წარუდგინა საკითხთან დაკავშირებით ინიციატივა თანდართული დოკუმენტაციით. წარმოდგენილ ინიციატივას თან ერთვის ასევე სოფლების ვანისა და ზომლეთის მოსახლეობის ხელმოწერები.

ამის შემდეგ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა დავით ტყეშელიაძემ და აღნიშნა: თუ კი სოფლების ვანისა და ზომლეთის მოსახლეობას სახელწოდების გამო პრობლემა ექმნებათ თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანი სერვისის მიღებისას, როგორიცაა სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიღება, მაშინ მიზანშეწონილია ასეთი ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _7

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 7 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და გადაწყვიტა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზომლეთის ადმინისტრაციული ერთეულისთვის სახელწოდების გადარქმევის შესახებ“ განკარგულების პროექტი (თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად) და დასკვნა გადაეგზავნოს გეოგრაფიული ობიექტების სახელდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას.

II საკითხი.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურასთვის ძველი სახელწოდების აღდგენის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურასთვის ძველი სახელწოდების აღდგენის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

კომისიის თავმჯდომარემ დეტალურად გააცნო კომისიის წევრებს წარმოდგენილი ინიციატივა და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, მათ შორის მოქალაქეთა განცხადება, რომლის შესაბამისადაც მომზადდა ინიციატივა. მოსახლეობა ითხოვს ძველი ისტორიული სახელის აღდგენას.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _7

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 7 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და გადაწყვიტა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურასთვის ძველი სახელწოდების აღდგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი (თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად) და დასკვნა გადაეგზავნოს გეოგრაფიული ობიექტების სახელდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისია.

III საკითხი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: <u>მარინე ბერაძე</u>

<u>აზრი გამოთქვა:</u> კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა და გადაწყვიტა დასამტკიცებლად გადაეცეს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.(თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მარინე ბერაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი